№ 32

პარასკევი, 11 თებერვალი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 32

ვი, 11 თებერვალი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა ლასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქვრივი კაპიტანისა სოფიო დიმიტრის ასული მუსხელოვისა, კოლლეჟსკი ასესორი დავით გრიგოლის ძე გრიგოლია და ელენა იოსების ასული აბდუშელიშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 12 ამა თებერვალს, შაბათს, ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველის შვილისა, მეორის მეუღლისა და მესამის დისა

**ანნა იოსების ასულის გრიგოლიას**

სულის მოსახსენებლად. (1—6.—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 13 თებერვალს 1900 წ.

**ბ ე ნ ე ფ ი ს ი**

## ქალბ. ტასო აბაშიძისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, ქალბ. მ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

**ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში**

სამ მოქმედებიანი კომედია.

II

## ცელქები

ვოდევილი სიმღერებით

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი მ. აბაშიძე და კ. მესხი.

ოთხშაბათს, 16 თებერვალს, დანიშნულია ბენეფისი ქალბ. ა. მ. კარგარელისა.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი**. 7—7½ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**.—გზილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი**. 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ქართველ ქალთა სამკერვალო

მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენნი თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა-კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**

სამკერვალო შეკვეთილ საქმეს პირიანად და დროზედ ასრულებს.

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

## ექიმი

## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.** (100—31—96)

რადგან 6 თებერვალს

გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის

## „შუამავლის"

წარმომადგენელთა წლიური კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, ამიტომ განმეორებითი კრება დაინიშნა 18 თებერვლისათვის, შუადღის პირველ საათზედ ქ. ოზურგეთში. კრება განიხილავს იმავე საგნებს, რაც პირველი კრებისათვის იყო დანიშნული და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(3—6.—1) გამგეობის თავმჯდომარე ს. ჭყონია

## მთავრობის განკარგულებანი

დამტკიცებულ იქმნენ ხარჯის ამკრებ ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად ამ თანამდებობაზე ქუთაისის ნაწილისა—კოლლეჟსკი ასესორი ლორთქიფანიძე და ყარსის ოლქის ოლთის ნაწილისა—ხოშტარია.

გადაყვანილ იქმნენ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელენი: ვიქტორ ბახტაძე ონისა, დავით ბახტაძე ართვინისა და ლალიაშვილი ჩოჩხის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში.

გადაყვანილ იქმნა ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან ა. კაპანაძე ქუთაისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელედ.

## ფელეტონი

### რა ბრალი ჰქონდა, რა დანაშაული?!..

(ეტიუდი)

(დასასრული *)

II

შუაღამეა. ქარ-ბუქი საშინელის ძალით მძვინვარებს. ძლიერი დასავლეთის ქარი ზუილ-ბზუილით მოშხუის და ყოველივეს სძრავს და ჰყინავს ირგვლივ. საშინელის ძალით ჰზნექავს და ამტვრევს ასის წლის ცაცხვის წვრილს ტოტებს, რომელიც მედიდურად აღმართულა მდინარის იქით, მაღალს კორდზედ და ამაყად გადმოჰყურებს გარემო ადგილებს. შავად ჩამოწოლილი ღრუბლები ზღვის აღელვებულს ტალღებს დაჰმსგავსებია, ისინი მედგრად ებრძვიან ერთმანეთს და საშინელის ძალით მიისწრაფვიან ვინ იცის საით?!

ირგვლივ მიდამოს თეთრი, თოვლის ზეწარი გადაჰფარებია და მწუხარების ბეჭედი დაუსვამს ზედ. საშინლად ბნელა; თვალთან მიტანილს თითსაც-კი ვერ გაარჩევს ადამიანი.

სოფელი №... ღრმა ძილს მისცემია. მხოლოდ ერთგან, სოფლის თავში ნახევრად დანგრეულს ციხედარბაზის გვერდით მიდგმულს სახლიდგან გამოზჟუტავს კიდევ შუქი.

ეს არის სანდრო ბედისწყრაძის კაბინეტი. ოთახს თითქმის არავითარი ცვლილება არ ეტყობა: ისევ ის საწერლო მაგიდა, ისევე სავარძელი, გადაცვეთილის ზურგით, მაღალი თეთრ-აბაჟურიანი ლამპარი და სხ. მხოლოდ თითონ სანდრო-კი სრულიად გამოცვლილა. მისი გამხდარი, გაყვითლებული სახე, მწარე, სევდით სავსე გამომეტყველება აშკარად გიმტკიცებთ, რომ ცოტა ტანჯვა, ცოტა წამება არ უნდა გამოევლოს.

ღრმად დაფიქრებული მისჯდომია თავისს საწერლო მაგიდას და ნაღვლიანად ათვალიერებს თავისს დღიურს. მისს ჩაცვივნულს თვალებში რაღაც გაუგებარი ცეცხლი ჰღვივის.

სანდრომ ზედი-ზედ გადაფურცლა რამდენიმე გვერდი და ერთს ალაგზედ გაჩერდა. შიგ იყო:

30 მაისი 18... წ.

სოფელი №...

არის ხოლმე ისეთი წუთი, როდესაც კაცს ავიწყდება ყოველივე, თითქმის თავისი თავიც-კი და ეძლევა ანგარიშ-მიუცემლად რაღაც გამოურკვეველს ძალას, რომელიც ყოველსავე სახსარს ბრძოლისას უსპობს თავისს მსხვერპლს და თავისს ყურ-მოჭრილ, უსიტყვო მონად ჰხდის. მეც სწორედ ამ გვარს მდგომარეობაში ვიმყოფები. ამდენის ხნის შავ-ბნელით მოსილს, მწარედ მკვნესარს გულს იმედის სხივმა ჩაანათა შიგ და ყოველივე გამოაღვიძა და მოძრაობაში მოიყვანა. შავად მოსილმა დედაბერმა, რომელიც გულის ჩაფერფლილს კერას უჯდა აქამომდე და მწარედ, გულ-შესაზარად ხარხარებდა, კლანჭებში დაბღუჯული გულის სიმები უცებ გაუშვა და წამს უკან შავად ავარდნილ კვამლად გაიფანტა. გავიდა კიდევ წუთიც და აქამომდე სამგლოვიარო ხმა რაღაც გულ-დამატკბობელ, საიმედო ჰანგად შეიცვალა. კიდევ ერთი გაბრძოლება და ჩამქრალს კერაზედ კვლავ ალაპლაპდა იმედების ლამპარი!.. ეს ორი კვირა იქნება, რაც ამ გვარს მდგომარეობაში ვიმყოფები და ხარბად ვეწაფები ტკბილსა და მათრობელს ნაკადულს, რომელიც გრძნობათა ნიადაგზედ აღმოცენდა, და მაინც ვერ გავმძღარვარ. ბუნებაც თითქოს თანამიგრძნობს, ახალ-პატარძალსავით მორთულ-მოკაზმულა და ტაშის კვრით ჩემთან ერთად მეჯლიშობს. ღმერთო ჩემო, ხან-და-ხან რომ დავფიქრდები, რაღაც უნდობლობა შემომეპარება ხოლმე გულში, როგორღაც არ მჯერება, რომ ეს სულ მართალია და არა სიზმარი, მოჩვენება!..

სანდრო ერთს წუთს დარჩა ასე გაუნძრევლად. უცებ სახე საშინელმა სიბრაზემ დაუმახინჯა, ზეზე წამოვარდა და გაანხრლებულმა ხვავ-ფხრეწა დაუწყო დღიურს. მეტისმეტი მღელვარება სულსა სტაცებდა. წუთს შემდეგ მუხლებში ღონე გამოცლილი დაეცა სავარძელზედ და მწარე ბრაზ-მორეულს სიცილს მოჰყვა. მაგრამ ღმერთო!.. რა შხამ-გარეული, ტანჯვით სავსე სიცილი იყო ეს სიცილი!..

საბრალო სანდრო! ამ ათის წლის წინად სიცოცხლით, იმედებით სავსე ჭაბუკი ახლა რაღაც მინგრეულ-მონგრეულ შენობას წარმოადგენდა!

სანდრომ უცებ შესწყვიტა ხარხარი, იდუმალის ღიმილით ლამპართან მდებარე ბრჭყვიალა რევოლვერს დააშტერა თვალები და დიდხანს თვალს ვერ აშორებდა. ბოლოს ერთი მძიმედ, გულ ამოსკვნით ამოიხვნეშა, მოისო შუბლზედ ხელი და თავისთვის წაიჩურჩულა:

— დროა უკანასკნელი მოვალეობაც შევასრულოთ!..

გამოსწია უჯრას, ამოიღო ფოსტის ქაღალდი და წერილის წერას შეუდგა. წერილი შემდეგის სიტყვებით იწყებოდა:

„ჩემო თამარ! სიკვდილის წინა ჟამს მე მსურს ჩემი გულთ-ნადები, მთელი ჩემი ცხოვრება გადვუშალო ვისმეს და ასარება ვუთხრა. შენზედ უკეთესს ვილას ვიპოვი?! მარტო შენ, შენ მიმიხვდები ტანჯვას, წამებასა და მარტო შენ თუ შემიბრალებ!.. ოჰ თამარ! განა შეგიძლიან წარმოიდგინო ის აუტანელი ტანჯვა, რომელიც მე მხვდა წილად?! არა, არა! ჯერ ეხლაც, ამ უკანასკნელს ჟამს, რომ მომაგონდება გამოვლილი წა-

*) იხ. „ივერია" № 31.

დათხოვნილ იქმნა თანახმად თავისისავე თხოვნისა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ქალი მ. გოგობერიძე.

# ახალი ამბავი

*** დღეს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც განხილულ იქმნება სხვა და სხვა მეაბრეშუმეთაგან აბრეშუმის თესლის ვაჭრობის შესახებ წარდგენილი მოხსენებანი. აგრეთვე კრება მოისმენს 8 თებერვალს საზოგადოების საბჭოს დადგენილებას აბრეშუმის თესლის სავალდებულო შემოწმების შესახებ.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ქალაქს აზრადა აქვს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულების სახსოვრად დააარსოს საპოლიტეხნიკო მუზეი. მუზეის გასამართავად საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა ქალაქის საბჭოს ხმოსნის ა. ს. ბაბოვისათვის მიუნდვიათ.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს ჩობახურის სანერგის გვერდით კახეთში საკოლლექციო ვენახი გამართოს. ამის გამო კახეთის ექსპერტმა ბ-ნმა სტაროსელსკიმ სთხოვა კავკასიის აგრონომებს გაუგზავნონ საკოლლექციო ვენახისთვის სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის ას-ასი ნერგი დასარგველად.

*** ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევანი, რომელიც ქალაქის საბჭოს უკანასკნელს კრებაზედ ვერ მოხდა, როგორც შევიტყეთ, გადადებულ იქმნა 21 თებერვლამდე.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის ი. ს. მედვედევის განკარგულებისამებრ პარიჟის მსოფლიო გამოფენისთვის დაუმზადებიათ დიდი კოლექცია ფოტოგრაფიულ სურათების ალბომებისა. ამ ალბომებში მოთავსებულია ფოტოგრაფიები ტყეებისა, საქონლისა, მცენარეებისა და სხვათა.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ს. გ. წერეთელი.

*** ამ წლის აპრილის თვეში ტფილისში ჩამოვა პროფესორი ი. ვ. მუშკეტოვი, რომელსაც მინდობილი აქვს კავკასიის უკანასკნელის მიწის ძვრის გამოკვლევა.

*** ქ. ხარკოვის ქართველობას ადგილობრივის გუბერნატორის დახმარებით შეუკრებია 730 მანეთი ახალ-ქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. ეს ფული უკვე გაუგზავნიათ დანიშნულებისამებრ.

*** მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე, როგორც ისმის, შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ნოვოროსიისკსა, სოხუმსა და გელენჯიხში დაარსებულ იქმნას მევენახეობის და მეღვინეობის სასწავლებლები.

*** როგორც ტფილისის პასტერის სადგურის 1898 წლის ანგარიშიდგან სჩანს, სადგურში საანგარიშო წელს მიუღიათ 451 კაცი. ამათგან სრულიად განთავისუფლებულან ავადმყოფობისაგან 447 კაცი, ხოლო გარდაცვლილა 3. ავადმყოფთა უმეტესი ნაწილი ტფილისისა და ტფილისის გუბერნიიდგან ყოფილა—212 კაცი. ავადმყოფები წლოვანობით ასე განიყოფებიან: 12 წელზედ უმცროსი ბავშვები 120, მამაკაცი 263 და დედა-კაცი 58. აქედგან 357 კაცი ცოფიან ძაღლისაგან ყოფილა დაკბენილი; მგლისაგან—21, ცხენისაგან 6, კაცისაგან 2, კატისაგან 1 და დათვისაგან 1.

*** საბჭოს პირველ დაწყებით სკოლების დამხმარებელ საზოგადოების ერთ წევრს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოების ხარჯით დაწესებულ იქმნას ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა საზოგადო საცხოვრებელი ბინა. ეს ამბავი მით უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ სახელოსნო მოსწავლეთა უმრავლესობა უღარიბესს მცხოვრებელთა შვილები არიან და, რადა თქმა უნდა, ასეთი დაწესებულება დიდი შეღავათი იქმნება სიღარიბით შევიწროებულ მოსწავლეთა უმრავლესობისათვის.

*** სოხუმის ოლქის ზოგიერთ გლეხებს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისათვის უთხოვნიათ, თათრულ თამბაქოს თესლი გამოგვიგზავნეთო. აზრადა აქვთ თათრული თამბაქო სოხუმის ოლქში გააშენონ.

*** როგორც საქონლის ბაკის გამგის ანგარიშიდგანა სჩანს, 15-დგან 31 იანვრამდე ტფილისში გასასყიდად მოურეკნიათ—ახალქალაქის მაზრიდგან: 183 ხარი, 19 ძროხა, 4 კვებულა, 6 ხარ-კამეჩი; სულ 212 სული. ბორჩალოს მაზრიდგან: 348 ხარი, 103 ძროხა, 21 კვებულა, 63 ხარ-კამეჩი, 25 ფურ-კამეჩი, სულ 550 სული. გორის მაზრიდგან: 29 ხარი, 7 ძროხა, 14 ხარ-კამეჩი, 4 ფურ-კამეჩი, სულ 54 სული. დუშეთის მაზრიდგან: 85 ხარი, 19 ძროხა, 9 კვებულა, 13 ხარ-კამეჩი, 5 ფურ-კამეჩი, სულ 131 სული. სიღნაღის მაზრიდგან: 13 ხარი. თიანეთის მაზრიდგან: 13 ხარი, 1 ძროხა, 2 ხარ-კამეჩი, 2 ფურ-კამეჩი, სულ 18 სული. თელავის მაზრიდგან: 14 ხარი, 3 ძროხა, 28 ხარ-კამეჩი, 10 ფურ-კამეჩი, სულ 55 სული. ტფილისის მაზრიდგან: 322 ხარი, 88 ძროხა, 48 კვებულა, 124 ხარ-კამეჩი, 27 ფურ-კამეჩი, სულ 609 სული. განჯის გუბერნიიდგან: 124 ხარი, 81 ძროხა, 8 კვებულა, 58 ხარ-კამეჩი, 13 ფურ-კამეჩი, სულ 284 სული; ერევნის გუბერნიიდგან: 174 ხარი, 25 ძროხა, 7 კვებულა, 14 ხარ-კამეჩი, 2 ფურ-კამეჩი; სულ 222 სული. სტავროპოლის გუბერნიიდგან: 401 ხარი, 5 ძროხა; სულ 406 სული. სულ ყველა ადგილიდგან შემოსულა 1706 ხარი, 351 ძროხა, 97 კვებულა, 327 ხარ-კამეჩი და 88 ფურ-კამეჩი.

*** როგორც „კვალი“ ატყობინებს, ბორჩალოს მაზრაში ალავერდის ქარხანასთან ვიღაც ბოროტ განმზრახველთ გაუქურდავთ ადგილობრივი სამრევლო წმ. გიორგის ეკკლესია. ბოროტ-განმზრახველთ გამოუმტვრევიათ კარები, გაუტანიათ საეკკლესიო ნივთები და სრულიად შეუმჩნევლად მიმალულან.

*** როგორც „ტფ. ფურც.“-ს გაუგონია ლაზარევი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ქ. ახალქალაქში პუშკინის სახელობის სამკითხველო იქმნას დაარსებული.

*** 8 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა მომრიგებელ მოსამართლის განჩინება, რომლითაც მოსამართლემ 25 მანეთი ჯარიმა გარდაუწყვიტა ყასაბს ალა-ჭაფა-ოღლის ხორცის ნიხრზე ზედმეტ ფასად გაყიდვისათვის.

*** როგორც იუწყებიან, ბაქოს კაცის გიმნაზიის მასწავლებელს ბ-ნ ნ. ნარიმანოვს განუზრახავს ქ. ბაქოში გამოსცეს გაზეთი სახელწოდებით „ტაზა-ხაბარლარ“, რისთვისაც ნარიმანოვს უკვე აღუძრავს შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე. გაზეთი თათრულ-ადერბეიჯანის ენაზედ იქნება გამოცემული რუსულის თარგმანით.

*** ს. მიქელ გაბრიელი, (გურია). ჩვენი სოფელი ერთმა ამბავმა მეტად ააღელვა. გლეხს მისელა ხომერიკს, კარგა ხანია ცოლი მძიმედ ჰყავდა ავად და დასარჩენი ბარიც აღარ უჩნდა. რის ვაი-ვაგლახით და წვა-დაგვით შეგროვილი შვიდი თუმანი შენახული ჰქონია ყუთში: დღეს თუ ხვალ ღმერთი გამიწყრება, ცოლი მომიკვდება და პატიოსნად დავმარხავ, დავიტირებო. თითონ სამუშაოდ წასულა, სახლში კი ნათესავი ქალები დაუტოვებია. ერთს აქაურ აზნაურს სენი სცემია, მისულა ხომერიკისას, ამოსჯდომია მომაკვდავს და ჩვეულებრივის გამოქნილ ენით სულ მოკლე დროებით ფული შესესხებია. ამასაც ხათრი ვერ გაუტეხნია და მიუცია შვიდივე თუმანი იმ პირობით, რომ ქმრის დაბრუნებამდე უნდა უკან მოუტანა. ქმარს შეატყობინეს: ცოლი უკანასკნელს დღეებშია, მოდიო. მოვიდა თუ არა, უთხრეს ეგა; ფული აღარ იყო, გამოიკითხა ამბავი. თვით მომაკვდავმა და დამსწრე ქალებმა უამბეს, როგორც იყო საქმე. ქმარმა აფრინა მოციქული, მერე თითონაც გაიქცა მოვალესთან. ხვალ მოგცემო—უთხრა მან. ამას მეორე ხვალ მოჰყვა და მესამეზე ქალიც გარდაიცვალა და... და ჩვენმა „ხრიკა-ძმამაც“ ბრე გადააყარა თავზედ „ყაზახს“. ფული რომ გამოსტყუა და „მოგცემო“ უთხრა, ამისი მოწმე ბევრია, მაგრამ კანონი ფულის შესახებ ითხოვს წერილობით საბუთს; ხრიკა-ძმამ ეს კარგად იცის და მეტი რაღა უნდა. წავიდა ჭირით და ოფლით შეძენილი და შავი დღისთვის შენახული წვრილ-შვილებიანი გლეხის შვიდი თუმანი. რად ახმაურდა სოფელი? განა ქურდობა ცოტა ხდება? იმიტომ, რომ ეს სხვა გვარი ქურდობაა, ჩვენი სოფლისთვის უცნობი!

*** სამშაბათს, 8 თებერვალს, პოლიციის მე X ნაწილში გიმნაზიის ქუჩაზედ სულხანოვის სახლიდგან მისი შინ არ ყოფნის დროს მოუპარავთ სხვა და სხვა ტანისამოსი, ღირებული სულ 160 მან. ეჭვი მიუტანიათ სულხანოვის მოსამსახურედ ნამყოფ მოციკუზედ.

*** პოლიციის მე-9 ნაწილში, თუმანოვის ქუჩაზედ, მჭედლიძეს დუქანში, შეკრებილს მოქეიფეთ პოლიციის მოხელემ მიმართა უდროობისა გამო თავიანთ სახლებში წასულიყვნენ, რისთვისაც მოხელესათვის შეურაცყოფა მიუყენებიათ და ხმალიც კი წაურთმევიათ. დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემის გარდა გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის განკარგულებით მჭედლიძის დუქანი დაჰკეტეს.

---

მება, თავსბრუ მესხმის, გონება მერყევა. ამ ათის წლის წინად, როდესაც ძალ-ღონით სავსე, ცოდნით აღჭურვილმა, სრულის ნდობით, პატიოსანის აზრებით განმსჭვალულმა შევდგი ფეხი ცხოვრების ასპარეზზედ, მეგონა, გავაკეთებ რასმეს, სარგებლობას მოვუტან ვისმე მეთქი. მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. ყოველს ნაბიჯზედ შური, სიძულვილი, გაუტანლობა მხვდებოდა, ყოველს ჩემს აზრს, ყოველს ჩემს კეთილს მისწრაფებას აუტანელი თავ-მოყვარეობა და უმადურობა ელობებოდა წინ. ყოველს ნაბიჯზედ გაკილვა და შხამ-გარეული ღიმილი სულს მიხუთავდა. დავაპირე სოფელში დეპოს დაარსება, ავუხსენ ხალხს მისი სარგებლობა და დავიყოლიე კიდეც, რომ გამომიტყვრა ვიღაც მებატონე, რომელსაც ეს ჩემი აზრი არაფრად ეპიტნავა, გადამეღობა წინ, შთააგონა ხალხს სულ სხვანაირად და დამფრთხალი ხალხიც ახლოს აღარ მომეკარა. ისკი გესლიანის ღიმილით მეუბნებოდა: „ყმაწვილო, თქვენ რა გჭირთ, რა გაწუხებთო. ჩვენს მამაპაპას ეგ რომ არ ჰქონიათ, არ უცხოვრიათ“ო?! წიგნთ-საცავი იყო და, პირველსავე დახრანტალებაზედ პირში ბურთი ჩამჩარეს: „რად გვინდა, ვისთვის გვინდაო?!“ მთელის სოფლის „საზოგადოება“ დორმეცლობას, ყომარბაზობას მისდევდა. იყვნენ, მართალია, ზოგიერთნი ისეთნიც, რომელნიც ამ გვარს მოვლენას „ცოტად თუ ბევრად“ არ თანაუგრძნობდნენ, მაგრამ ისიც სიტყვით, თორემ საქმით ვინ გამოდგებოდა. მერე და განა ამ გვარი საზოგადოება ესაჭიროება ჩვენს ხალხს!? არა და არა! ეს არის ჩვენი ჭირიანი ალაგი და ძირიანად უნდა მოიჭრას ბასრის დანით.

„ნეტავ გაგეგონა, თუ რა სასაცილო და გულმომყვან სიამპარტავნით, მედიდურის სახით წარმოსთქვამდნენ ხოლმე: „ჩვენი სოფლის ინტელიგენცია“... „ჩვენის“.. სწორედ გული მიგვიდიოდა ამათ გაუგებარ უტვინობაზედ. წელიწადში ორს სტრიქონს არ წაიკითხავდა არც ერთი მათგანი (მეტადრე მანდილოსნები) და ხალხის განათლებისა და მისს წინსვლაზედ-კი ავარჯიშებდნენ ენას. ან კი რა ექმნათ, კარგის სადილ-ვახშმებისა და საუკეთესო წითელის ღვინის შემდეგ არ ელაპარაკნათ რაზედმე?!.-

„მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლიდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ქვეყანაზედ სადმე „სამართალი“, „პატიოსნება“ მოიპოვებოდა, ერთის სიტყვით ყველა ის, ურომლისოდაც პატიოსანის კაცის წარმოდგენა შეუძლებელია, მაგრამ აქაც მოვტყუვდი. ღმერთო!.. შენა ხარ გულთამხილავი, თუ რად მიღირდა მე ამ დასკვნამდის მისვლა! ერთის ხელის შემოკვრით დაინგრა, დაიფუშა ის იდეალი, რომელიც ისე კადნიერად დავისახე და ვაღმერთებდი.

ჩემის ცხოვრების საგანი მარტო მოჩვენება ყოფილიყო, რომელიც მიახლოვებასთანვე განქრა სამუდამოდ და მასთან ჩემი ცხოვრებაც ფუჭი და უაზრო შეიქმნა. ყოველივე, რასაც კი სიცოცხლის ძალა აკლდება, ჰქრება, იმუსრება. და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან რაც კი ბუნების ჰარმონიას არღვევს, იგი საზიზღარია და შემუსვრილ უნდა იქმნას. ან-და რის მაქნისია ქმნილება, რომელსაც ურწმუნოება დაჰსადგურებია გულში და სიცოცხლე-მობეზრებული, ყოველივეს, კარგი იქნება იგი თუ ცუდი, ზიზღით, სიძულვილით, ეჭვის თვალით შეჰყურებს?!.. არა, არა. მე იმდენი გამბედაობა კიდევ შემრჩენია, რომ ჩემს თავს გულ-ახდით ვუთხრა: „შენ გამხმარი შტო ხარ და ეს შტო უნდა მოიმტვრეს!“ მშვიდობით, მშვიდობით ჩემო თამარ! ჩემმა სიპატიოსნემ ნება არ მომცა შენი სურვილი შემესრულებინა. შენ, ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსეს, ჯერ კიდევ გულ-უბრყვილოს, რა უნდა გესიამოვნა ჩემთან?—არაფერი. მოსძებნე სხვა შენი საფერო, შენი ღირსი, მე კი, მე-კი ჩემს ხვედრს მარტო მევე გავინაწილებ. მშვიდობით... შენი ბედშავი სანდრო“.

სანდრომ გაათავა წერა, მაგრამ, ღმერთო-ჩემო, რა საზარლად დაჰპრანჭვოდა სახე?! ღრმად ჩაცვივნული თვალები ბოროტის ცეცხლით ანთებოდა. გული საშინელის ძალით აუდიოდ-დაუდიოდა, თითქოს ბუდიდგან გადმოვარდნას ჰლამოდა. წუთს შემდეგ სანდრო წამოიჭრა ზეზედ და აღელვებული წინ და უკან სირბილს მოჰყვა ოთახში. ერთი წუთით ის ფანჯარასთან გაჩერდა. განრისხებული ბუნება აწ მიყუჩებულიყო და პირბადრი მთვარე იდუმალებით მიიპარებოდა ცის კიდურზედ და უხვად აფრქვევდა თავისს ნაზს, მოალერსე სხივებს. ირგვლივ მიდამო თეთრად გადაპენტილიყო. ტყე, გახვეული თეთრს ჩადრში ხმას არ იღებდა. სანდრომ წუთით თვალები ცას მიაპყრო.

უცებ მაღლა, ცისკიდურიდგან მოსწყდა ვარსკვლავი, ღეშვა ძირს და გაელვარებასთან ერთად შთაინთქა ცის სივრცეში.

სანდრო შეკრთა, გააჟრჟოლა, წაიბუტბუტა რაღაცა და გამობრუნდა. მივიდა საწერლო მაგიდასთან, ამოიღო უჯრიდგან კონვერტი, ჩასდო შიგ წერილი, დაბეჭდა და რამდენიმე სიტყვა დააწერა ზემოდგან, მერე აიღო რევოლვერი და პირში ლულა მიიცა... მოისმა გრიალი და ტყვიასთან ერთად გატანილი ტვინი კედელს შაენარცხა.

ასე გაათავა ამ უბედურმა თავისი ტანჯვით სავსე წუთი-სოფელი. ბუნებითვე პატიოსანსა და გულ-უბრყვილოს მას ვერ ელალატა თავისის თავისათვის და ცხოვრების მოთხოვნილებისამებრ ვერ გარდაექმნა თავისი ბუნება. თვისის ბედნიერებისათვის სხვისი გაწირვა მას ვერ ეკისრა და ამისათვის თვით გაიწირა!..

საბრალო, გან შორდა ამ წუთი-სოფელს, მისგან დევნილი, უარყოფილი, მაგრამ რა ბრალი ჰქონდა, რა დანაშაული?!..

ა. წინამძღვარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსკოვის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა „დამხმარებელ საზოგადოების“ მოვალეთა შესახებ.

რედაქციამ მიიღო პატარა წიგნაკი „მოსკოვის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისაგან“. წიგნაკში დაბეჭდილია სია ამ საზოგადოების მოვალეებისა. როგორც ვუწყით, ეს საზოგადოება იმ აზრით არის დაარსებული, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის შეუძლებელ მოსწავლეებს შემწეობა აღმოუჩინოს და ასე თუ ისე სწავლის დამთავრების სახსარი მისცეს. საზოგადოება ამ აზრით იხდის ღარიბ სტუდენტთა სწავლის ფულს, უსასყიდლო სადილებს მართავს იმავე სტუდენტებისთვის, ფულზე შემწეობას უწევს მათ და სხვა მრავალ გვარადაც ეხმარება, იმ პირობით კი, რომ შემდეგ, როდესაც სწავლას დაამთავრებენ და სამსახურში შევლენ, ამ სტუდენტებმა მათზედ დანახარჯი ფული უკანვე დაუბრუნონ უნივერსიტეტს.

დაარსებიდგან დღემდე საზოგადოებას აუარებელი ფული დაუხარჯავს ამ რიგად, მაგრამ გადახდით კი მესამედსაც არ გადაუხდია მათზედ დანახარჯი ფული. როგორც მოკლე ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოების ვალი, სტუდენტებზედ გაცემული, სულ 350,244 მანეთი 67 კაპეიკია.

აქედგან მხოლოდ ნახევარია იმათზედ, რომელნიც ჯერ კიდევ სწავლობენ ან ახლად დაამთავრეს სწავლა; დანარჩენი მე-70, 80, 90 წლებში სწავლა-დამთავრებულებზეა დარჩენილი. მარტო 1899 წელს საზოგადოებას ღარიბ სტუდენტების სწავლის ფასი 35,796 მან. 50 კაპ. გადაუხდია; აღმოუჩენია სტუდენტებისათვის 2,600 მანეთის შემწეობა, 20,333 მან. 66 კაპ. სადილები გაუმართავს.

საზოგადოების კომიტეტი ბევრსა სცდილა, მაგრამ ძველ სტუდენტებზედ დარჩენილი ვალი მაინც ვერ შეუკრებია. იმათთვის, ვისიც ადრესი სცოდნია, კომიტეტს წერილით მიუმართავს და უთხოვნია ფულის დაბრუნება. ბევრს დაუბრუნებია კიდეც ვალი. მაგრამ უბედურება ის არის, რომ კომიტეტს ყველა მოვალეს ადრესი და საცხოვრებელი არა სცოდნია.

კომიტეტმა ეხლაც მოვალეთა სიები დაუგზავნა გაზეთის რედაქციებს და ოლქის სასამართლოების თავმჯდომარეებს. სადაც მსურველთ შეუძლიანთ წაიკითხონ ეს სიები. სხვათა შორის ჩვენს რედაქციასაც მოუვიდა ერთი ასეთი სია.

ხსენებულს საზოგადოებას წინადაც არა ერთხელ მიუმართავს თავისს მოვალეებისთვის და უთხოვნია ფულის დაბრუნება. მაგრამ ეს უკანასკნელნი ყურსაც აღარ იბერტყავენ: ბევრს მათგანს, დღეს განცხრომასა და ფუფუნებაში მყოფთ, დაავიწყდათ სტუდენტობის დღეები და მაშინდელი გაჭირვება და აღარ ჰფიქრობენ, რომ ახლა ასეთ გაჭირვებაში სხვები არიან, რომ ამ უკანასკნელთ დღეს ისეთივე დახმარება და შემწეობა უნდათ, როგორც წინად თვით მათ უნდოდათ. ნუ თუ არ შეუძლიანთ ის ორიოდე გროში, რომლითაც მაშინ უსარგებლიათ, ეხლა ნაწილ ნაწილად მაინც გადიხადონ?

კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ყველა იმათ, ვინც მოვალეთა ადრესები იციან, შეატყობინონ ეს ადრესები (წერილი ასე უნდა გაიგზავნოს: Москва, м. Бронкая. д. Прибиль). როგორც ვთქვით, მოვალეთა სიის გასინჯვა მსურველს რედაქციებსა და ოლქის სასამართლოს თავმჯდომარესთან შეუძლიან. სხვათა შორის ამ სიაში თერთმეტის ქართველის გვარიც ამოვიკითხეთ.

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

როგორც უკანასკნელ დღეების დეპეშებიდგან სჩანს, დასავლეთ ბრძოლის ველზედ, კაპის ახალშენში, საქმის მდგომარეობა შესამჩნევად შეიცვალა ინგლისელების სასარგებლოდ. ფელდმარშალი რობერტსი, რომელიც აქამდის კაპშტადტში იჯდა, მდინარე მოდერრივერთან დაბანაკებულს ჯარში მივიდა და თითონ იკისრა ჯარის ხელმძღვანელობა. მან 2,000 კაცით გენერალი ფრენჩი გაგზავნა კიმბერლეიზე, რომელიც, ეს ოთხი თვე მეტია, ბურებისაგან ალყა შემორტყმული იყო, ხოლო 40 ათასი კაცით თითონ იაკობსდალისაკენ გაეშურა. ამნაირად კიმბერლეი უკან მოიტოვა და ორანჟელების ჯარის ზურგს—კრონიეს წინ გადაუდგა. გენერალი ფრენჩი დაუბრკოლებლად შევიდა კიმბერლეიში და იქ გამომწყვდეული ინგლისის ჯარი გაანთავისუფლა. რობერტსის ძლიერ მხედრობას წინ ვერ აღუდგა კრონიე თავისის მცირე ჯარით და უკუქცეულ იქმნა. ყოველივე ეს როგორ მოხდა, დეპეშებიდგან ძნელი გასაგებია, დაწვრილებითი ცნობები-კი ამის შესახებ ჯერ არ მოსულა. რობერტსი დაედევნა კრონიეს, რომელიც თანდათან ბლუმფონტეინისაკენ იწევს, მაგრამ ჯერ ვერ დაეწია და მათ შორის შეტაკება არ მომხდარა.

დეპეშების სიტყვით, რამდენიმე ინგლისურ გაზეთის აზრით, რობერტსი რამდენისამე დღის განმავლობაში ბლუმფონტენში (ორანჟის სატახტო ქალაქი) იქნება და ამნაირად დასავლეთ მხარეს ბრძოლა გათავებულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ბევრს არა სჯერა ეს და შიშობენ, კაი თუ რობერტსსაც ისეთი უბედურება შეემთხვევს, როგორც ნატალში გენერალს ბულლერს, რომელიც სამჯერ შეიტყუილეს ბურებმა სახიფათო ალაგას და საშინლად დაამარცხეს. ეს მით უფრო შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ ინგლისელებმა არ იციან, ორანჟელებს სად და როგორ აქვთ გამაგრებული თავიანთი მტრის დაუნდობელი მთები და გარდა ამისა რობერტსის უკან დარჩა ორანჟელების ნიჭიერი გენერალი—დელარეი რამდენისამე ათასი კაცით. რაღა თქმა უნდა, თუ რობერტსმა ისეთი დაბრკოლება ნახა, რომ წინ ვეღარ წავიდა და უკან დაბრუნება მოინდომა, მას წინ გადაეღობება დელარეი და ამნაირად ის ორ ცეცხლ შუა დარჩება. გარდა ამისა, როგორც იუწყებიან, ტრანსვაალის მთავრობა დიდ ძალს ჯარს ჰგზავნის თურმე ორანჟის რესპუბლიკაში და ტრანსვაალის გამოჩენილი გენერალი ჟუბერიც წასულა მოდერისაკენ. თუ ეს ხმები მართალია, ვინ იცის, ინგლისელებს იქნებ ეხლაც ისე გაუჭირდეთ იმდა დასავლეთ ბრძოლის ველის შესახებ, როგორც ლედისმიტის შესახებ გაუჭირდათ რამდენჯერმე.

## დაკვირვება

ნუ სჯი ახლად სწავლა დამთავრებულს და ნუ ეცდები მას გამოკვლევას, ვინ არის და რა არის? მიეცი დრო გაიკეთოს რამე.

ს. ყ—ნი

* * *

განსხვავებოდა ერთნაირი სირი, რომელი ზეჭუარტა შანა უეცრად შედგების, და დაუწყებს ჭკარს ფარფატსა და ფოფინს... მას შედარებით იგი უაზრო და ირაო მოხელე, რომელიც თავისს დიდებას თავისს მოწოდებაში კი არ ეძიებს, არამედ გარეშე მისა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, უპირველეს ქარხანად, სადაც თოფ-ზარბაზნებს და სხვა საომარ იარაღს ამზადებენ, დღეს კრუპპის ქარხანა ითვლება. ყოველ წელიწადს ეს ქარხანა უთვალავ თოფებსა და ზარბაზნებს ამზადებს. ამ ჟამად კრუპპის ქარხანაში 41,750 მუშაა. ისეთი სახელმწიფო არც-კი მოიპოვება დედა-მიწის ზურგზედ, რომელსაც ამ ქარხნისათვის არ შეეკვეთნოს ან ზარბაზნების ან თოფების მომზადება. განსაკუთრებით მეტად დიდი მოგება ქარხანას ომის დროს აქვს, როგორც ეხლა, როდესაც სამუშაოს ვერც-კი ასდის.

* * *

წარსულს თვიდგან ჩრდილოეთ აფრიკის ერთ მივარდნილ კუნჭულში, სახელდობრ იუკანის ოლქში, შეუდგნენ გაზეთის ბეჭდვას. ეს გაზეთი ამ ოლქსა და ახლო-მახლო ადგილებში, რამდენისამე ათასის ვერსტის სიშორეზედ პირველია. ევროპაში ჯერ არ მიუღიათ პირველი ნომერი ამ გაზეთისა. ზოგ რამეს ამ გაზეთის შესახებ გადმოგვცემს „Presse Inter“-ი. მეტად საყურადღებოა თურმე შინაარსი ამ გაზეთისა; უცხო ქვეყნების ამბავი და პოლიტიკა თვეში ერთხელ ძლივს თუ დაიბეჭდება, რადგანაც ეს კუთხე იმდენად მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყნებს, რომ ამბავს თვეში ერთხელ ძლივს მიიღებენ. სწორედ ამიტომ გაზეთის სათაურის ქვეშ ასე სწერია: „უცხო ქვეყნებიდგან მიღებული უკანასკნელი ცნობები, თუ კი მივიღებთ ასეთ ცნობებსო“. გაზეთი იბეჭდება ქალაქ დავსონში, ამ ქალაქში სურსათი საზოგადოდ მეტად ძვირია. კვერცხი, მაგალითად, 4 დოლლარი ჰღირს. გაზეთში უმეტესად მასალა სწორედ ამის შესახებ იბეჭდება: როდის რა საქონელი შემოვა ქალაქში, სურსათი როგორა ჰღირს და სხვა. ადგილობრივი ახალი ამბები გაზეთს ყოველთვის ბევრი აქვს, რადგანაც მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა და ქურდობა ამ ოქროს ქვეყანაში მეტად ხშირია. განცხადებათა შორის ამას წინად ერთი ასეთი განცხადებაც ყოფილა: „იყიდება მეტად იაფად წყვილი ფეხსაცმელი. სულ 20 დოლარად“ (40 მანეთად). გაზეთი, ჩვენებურად რომ ვიანგარიშოთ, ძალიან ძვირადა ჰღირს. ერთი ნომერი ამ გაზეთისა 1 ფრანკ. და 25 სანტ. ექვსის თვით გაზეთი 40 მანეთამდე ჰღირს, ხოლო მთელის წლით 70 მანეთამდე. იქ, სადაც ოქრო ბევრია, ეს ფასი დიდად არ ითვლება.

* * *

როგორც ინგლისური გაზეთი გადმოგვცემს, ამას წინად ერთი ღარიბი ლონდონელი მჭედელი ძველ წიგნების მაღაზიაში შესულა. სხვათა შორის იქ მჭედელს დაუნახავს ძველს ყდაში ჩასმული ერთი წიგნი, მოსწონებია იგი და სულ მცირე ფასად უყიდნია. მაგრამ რადგანაც კითხვა არა სცოდნია, სამჭედლოში დაუგდია. რამდენისამე ხნის შემდეგ მჭედელთან შესულა იმავე სახლის მდგმური; შემთხვევით დაუნახავს წიგნი და წაუკითხნია ზედ, რომ „ეს წიგნი 1450 წელს არის გამოცემულიო“; შემდეგ გამოურთმევია წიგნი და ბრიტანიის მუზეუმში წაუღია საჩვენებლად. მეორე დღეს მჭედელი მუზეუმში დაუბარებიათ და უკითხიათ, გაჰყიდი თუ არა ამ წიგნსაო. „იკმარებთ თუ არა 600 მანეთს“! უკითხნია მდივანს. გაკვირვებულს მჭედელს პირი დაუღია, დაგლეჯილი წიგნი და 600 მანეთიო, უფიქრნია. მდივანს-კი ეს გაკვირვება სხვა ნაირად მიუღია. იცოტავა ფასიო და 900 მანეთი შეუძლევია. რაღა ლაპარაკი უნდა, მჭედელი მაშინვე დასთანხმდა და მდივანსაც სიხარულით გადაუთვლია 900 მანეთი. აღმოჩნდა, რომ ეს წიგნი პირველი წიგნი ყოფილა ჰუტენბერგის მიერ დაბეჭდილი და ბრიტანიის მუზეუმი 900 მანეთს-კი არა, პატრონს რომ არ დაეთმო, მთელ ქონებას მისცემდა ამ წიგნში.

## გამოსადეგი ცნობა

ჭრილობის სისხლის მდინარებას ჩქარა სწყვეტს ფხვნილი ჭუმარაბიკასა, შაბისა და კანიფოლისა. სამივე თანასწორ ნაწილად უნდა აიღოთ, აურიოთ და სისხლით მდინარე ჭრილობას უნდა ოდნავ მოაყაროთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 თებერვალი

**ლონდონი.** ფრენჩის ჯართან მყოფი კორესპონდენტი „რეიტერის სააგენტოსი“ შემდეგ დაწვრილებით ამბავს იუწყება კიმბერლეის განთავისუფლების შესახებ: „როდესაც კიმბერლეის რვა მილის მანძილზედ მივუახლოვდით, გელიოგრაფით გადმოგვცეს იქიდგან, რომ ბურები ქალაქს ესვრიანო. ჩვენ მაშინვე პასუხი გაუგზავნეთ: „აქა სდგას ფრენჩის ჯარი, რომელიც თქვენდა განსათავისუფლებლად მოდისო“. ქალაქში მომწყვდეულთ უფიქრნიათ, იქნება ბურები გველაპარაკებიანო და შეგვეკითხნენ: „რომელ რაზმს ეკუთვნითო“? ჩვენმა პასუხმა დაარწმუნა ისინი, რომ ბურები არ ვიყავით. მცხოვრებნი დიდის სიხარულით მოგვეგებნენ. ჯარმა შესასვენებლად ღამე ქალაქში გაატარა, მეორე დღეს კი მტერს დაედევნა დრონტაფელდისკენ. დაღამებისას ბურები გაიქცნენ გორაკებიდგან, ამასთან მრავალი მოკლული დასტოვეს. მეციხოვნენი და მცხოვრებნი კიმბერლეისა ცხენის ხორცით იკვებებოდნენ. კერძებს ყოველ დღე ქალაქის მოედანზედ ურიგებდნენ. კრონიემ უკან დაიხია, დასტოვა წინანდელს ადგილზედ ერთი ზარბაზანი, აგრეთვე კარავები, სურსათი და სხვა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ტომასმა წინადადება შეიტანა გამოძიებულ და გამოკვლეულ იქმნას მიზეზი და ყოველივე წვლილი შეთქმულებისა ტრანსვაალის მთავრობის წინააღმდეგ და აგრეთვე ტრანსვაალში შესევისა 1895 წელს. ამასთან ტომასმა განაცხადა, რომ მე ჩემბერლენის მიმართ მტრობა კი არ მალაპარაკებს, არამედ ის, რომ საქმე პალატისა და მთელის სახელმწიფოს სახელსა და პატიოსნებას შეეხება; მით უმეტეს საჭიროა ეს, რომ მაშინდელი გამოძიება დამთავრებული არ იქმნა, რის გამო ხალხი დიდად უკმაყოფილოა. გარნანმა და სამუელ ევანსმა მხარი დაუჭირეს ტომას. ჩემბერლენმა, დიდად აღელვებულმა, პასუხი გასცა ორატორს. ჩემბერლენის ლაპარაკს სამინისტროს დასი ტაშისცემით მიეგება. მინისტრმა განაცხადა, რომ უკანასკნელ გამოძიების შემდეგ არც ერთი ახალი ფაქტი არ აღმოჩენილა. ამ წინადადებას პოლიტიკური ხასიათი აქვს, სურთ ხელი შეუშალონ და მონაწილეობა არ მიმაღებინონ ტრანსვაალის საქმის განწესრიგებაში; მე წინააღმდეგი ვარ გამოძიებისაო. პალატამ, 286 ხმის უმეტესობით 152 ხმის წინააღმდეგ, არ შეიწყნარა ტომასის წინადადება.

**პარიჟი.** დღეს, 11 საათზედ, გარდაიცვალა ქვრივი მარშალის მაკ-მაგონისა.

**პარიჟი.** უმაღლესი სასამართლო. გაბერმა ჩვენების ჩამორთმევის დროს განაცხადა, რომ პატრიოტთა ლიგას რესპუბლიკანური ხასიათი ჰქონდა, და დერულედი ყოველთვის წინააღმდეგი იყო როიალისტებთან ერთად მოქმედებისაო. რამდენსამე მოწამეს ჩამოართვეს ჩვენება. საქმის განხილვას ხვალ განაგრძობენ.

**პარიჟი.** პალატა. სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს გალიფემ განაცხადა: „ახალი რამ უნდა შეგატყობინოთ: გენერალმა დელაუმ, რომელმაც ხელ-ახლა მოაწყო მთელი არტილერია, ახალი თოფი გამოიგონა. ექვსის თვის შემდეგ ჯარი ამ გვარის თოფებით იქმნება შეიარაღებული. ეს თოფი ყველა დღემდის არსებულს თოფებსა სჯობიაო“. (ტაშის ცემაა).

**პეკინი.** ბავდიხანმა მიიღო გუშინ სასახლეში სადიპლომატო კორპუსი. როგორც ამბობენ, ბავდიხანს ავადმყოფის სახე ჰქონდა, იმპერატრიცა ამ დროს იქ არ იყო.

**არუნდელი.** ბურები არუნდელის გარეშემო მხნედ მოქმედებენ. განუწყვეტლივ ზარბაზნებსა და თოფებს ისვრიან. იმათ წინააღმდეგ გაგზავნილ იქმნა 200 ავსტრალიელი ჯარის კაცი. ამ უკანასკნელთ სროლა დაუწყეს იმ გორაკებს, რომელზედაც ბურები გამოჩნდებოდნენ ხოლმე.

**ლონდონი.** „Stan.“-ს სწერენ მოდდერ-რივერიდგან, 6 თებერვალს: „პარასკევს დილით, მე-13 ბრიგადა თავს დაესხა კრონიეს უკანა ჯარს. 2000 ბურს რამდენიმე გორაკი ეჭირათ კლინფრიფტის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ინგლისელებმა სამი გორაკი აიღეს. საღამომდის ჩვენი ჯარი მხნედ იბრძოდა, თუმცა მტრის ტყვია არც ერთს წუთს არ შეწყვეტილა. ამავე დროს ბურების მთავარმა ჯარმა კლინკრაალდრიფტამდე მიაღწია, სადაც სამხრეთით გადავიდა მდინარეს. მცირე რაზმი ინგლისელებისა მდინარე კლინს გადავიდა, რომ ბურებისათვის მდინარეში გასვლის დროს ხელი შეეშალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბურები მრავლად გადასულიყვნენ, ასე რომ პოზიციის გამაგრება შესძლეს. ჩვენის ზარბაზნებიდგან საღამომდე ესროდნენ ბურებს. გუშინ დილით ბურები საჩქაროთ გაეშურნენ უკან, მოდდერ-რივერის ჩრდილოეთით. კიტჩინერი და კელლი-კენნი ფეხ-და-ფეხ მისდევენ მათ. წარსულ საღამოს მაკ-დონალდმა ჩქარა გადაიარა 10 მილი თავის ჯარით, რათა უკან დახეულ მტრისათვის კოდუსრანდრიფტთან გზა შეეკრა.

**ვენა.** საღამოს გაზეთებმა განაცხადეს, რომ იმპერატორი ფრანც-იოსები ცოტა უქეიფოდ არისო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ჩემბერლენმა, ილაპარაკა-რა ტომასის წინადადების წინააღმდეგ, სხვათა შორის, სთქვა, რომ ახალი გამოძიება ბოლოს არ მოუღებს სახელმწიფოს გარეშე გამოწვეულს კრიტიკას; თვით ინგლისში-კი ამ კრიტიკას არავითარი გავლენა არა აქვს იმათზედ, ვისი აზ-

რიც საყურადღებოა ჩემთვის. ჯემსონის შესევის გამოსაძიებლად დანიშნულ კომისიის მიერ საქმის განხილვის დროს, მე თანხმა ვიყავ გარკორტის ყველა წინადადებისა. კომისიას არ წარედგინა ზოგიერთი დეპეშები რომლისამე დაინტერესებულის წევრის წყალობით კი არა, არამედ იმიტომ, რომ ამას სატელეგრაფო სააგენტოს საქმეები მოითხოვდნენ. ეს დეპეშები ისეთივე იყო, როგორც კომისიაში წარდგენილი. კომისიამ ეს უკანასკნელნი დაწვრილებით განიხილა და განსაკუთრებული არაფერი აღმოაჩინა. ამის შემდეგ ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ახალი გამოძიება იყოს საჭირო. დამტკიცდა, რომ როდსმა მონაწილეობა მიიღო იმ შეთქმულებაში, რომელსაც ჯემსონის შესევა მოჰყვა, მაგრამ ამასთან როდს ბრალად სდებდნენ, ეს საქმე მან თავის კერძო ინტერესებით აღძრულმა ჩაიდინაო,—ეს მართალი არ არის. გაზ. „Jndep. Belge“-ში გამოქვეყნებული საბუთის ქაღალდები, რომელიც გოუკსლეის დათხოვნილმა მოსამსახურეებმა მოიპარეს, ლონდონურ რადიკალურ გაზეთებს მიუტანეს დასაბეჭდად, მაგრამ მათ არ მიიღეს. შემდეგ ბურების ცნობილმა მეგობარმა ეს ქაღალდები ლეიდს გაუგზავნა, რომელმაც გადაიხადა ან დაჰპირდა 100 გირვანქა სტერლინგის გადახდას. საბუთის ქაღალდებში ისეთი არაფერია, რაც საპარლამენტო კომისიამ არ უწყოდეს. ახალ გამოძიებას თხოულობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ბრალი დასდონ ახალშენთა სამინისტროს. ოპოზიციას უნდა ნდობა დაუკარგოს მინისტრსაო. გარკორტმა მიუგო, რომ გამოძიება იმიტომ არის საჭირო, რომ ეჭვი საახალშენო სამინისტროზედ საპოლიტიკო მოწინააღმდეგეთ კი არა, არამედ როდსის აგენტებმა მიიტანეს, რომელნიც სცდილობდნენ თავიანთი დანაშაული დაეფარათ და ამბობდნენ, სამინისტროს თანხმობით ჩავიდინეთ ყოველივეო. ბანნერმანმა განაცხადა, არა მგონია რომ ჩემბერლენის სიტყვამ ბოლო მოუღოს იმ ეჭვს, რომელიც საზღვარ-გარეთ აღიძრაო. ბალფურმა განაცხადა, რომ ტომასის წინადადება ჩემბერლენის წინააღმდეგ კერძო მტრობამ გამოიწვიაო. ამის შემდეგ პალატამ უარჰყო ტომასის წინადადება.

**პეტერბურგი.** გუშინ გრაფმა იუსუპოვმა ბალი გამართა, რომელზედაც ბრძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული.

**ლონდონი.** აქაურს ბირჟაზედ ხმა გავრცელდა, რომ ლედი-სმიტი განთავისუფლებულ იქმნაო.

**ვინდზორი.** დღეს სახელმწიფო საბჭოს კრებაზედ გამოცხადებულ იქმნა, რომ ვინდზორის სასახლეში, სადაც ეხლა დედოფალია, ამბავი მოვიდა ლედი-სმიტის განთავისუფლებისაო.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს არავითარი ცნობა არ მისვლია ლედი-სმიტის განთავისუფლების შესახებ.

**ბერლინი.** „Tageblatt“-ს ატყობინებენ ბრიუსელიდგან: აქ ხმა დადის, რომ ომის ვითარების შეცვლის გამო ნატალის ყველა პოზიციები გამოუსადეგარი აღმოჩნდა, რის გამო ჟუბერმა განკარგულება მოახდინა, მთელი ჯარი უკან იქმნას დაწეული. ამ რიგად ბურები ნატალიდგან გავლენ და ლედი-სმიტსაც თავს მიანებებენ, რათა ტრანსვაალის საზღვრების დაცვას შეუდგნენ. ფიქრობენ, რომ ბულლერი ამ კვირასვე შევა ლედი-სმიტშიო.

10 თებერვალი

**ლონდონი.** პრეტორიიდგან 8 თებერვალს იუწყებიან, რომ საზღვარზედ სამსახურისთვის ბევრი ბური იქმნა გაწვეული, ხოლო ამისათვის—მრავალი თავისუფალი მეომარიო.

პრეზიდენტი შტეინი იუწყება, რომ 8 თებერვალს ბრძოლა მქონდა ინგლისის ჯარსან, რომელნიც სცდილობდნენ კრონიეს ბანაკის გარს შემორტყმას. ინგლისელნი განდევნილ იქმნენ. გენერალი დევესი იუწყება იმ ბრძოლის შესახებ რომელიც პაარდებერგსა და კოდუფანდს შორის მოხდა; ამასთან ბურებს წაურთმევიათ რამდენიმე გორაკი ინგლისელებისთვის. ინგლისელების მხრივ რამდენიმე კაცია დაჭრილი და მოკლული და 40-ცი ტყვედ წაიყვანეს ბურებმა. ბურებს ორი კაცი მოუკლეს და 4 დაუჭრეს.

რობერტი პაასდებერგიდგან 8 თებერვალს დეპეშით იუწყება, რომ გენერლები ნოკსი და მაკდონალდი დაჭრილ იქმნენ 4 და 6 თებერვლის ბრძოლაშიო. სამხედრო სამინისტროს არავითარი ცნობა არ მიუღია. როგორც ჯერ-ჯერობით აღმოჩნდა, პაარდბერგთან მომხდარ ბრძოლაში მოკლულ იქმნა 9 ინგლისელი აფიცერი, დაჭრილ 39 და ერთიც უკვალოდ დაიკარგა.

ბულლერი ჩივილეიდგან იუწყება: „მეხუთე დივიზია 8 თებერვალს ტუგელზედ გავიდა და მტერი განდევნა“.

**ბომბეი** აუარებელი ხალხი იხოცება შავის ჭირისაგან: ყოველ დღე 400 კაცი ესალმება წუთი-სოფელს. უკანასკნელ თვეში 10,239 კაცი გარდაიცვალა შავის ჭირისა, ყვავილისა და სხვა ავადმყოფობისაგან.

**ვალიადოლიდი.** ცეცხლმა გუშინ 420 სახლი გაანადგურა აუარებელი საქონელი დაიღუპა. ზოგიერთი მცხოვრებნი ჰკუიდგან შეიშალნენ და ალში გადაცვივდნენ.

**ლონდონი.** პრეტორიიდგან იუწყებიან, რომ ორანჟეს რესპუბლიკის ჯარის უფროსი. ფერრეირი 7 ამ თვეს გარდაიცვალა, როგორც ჰფიქრობენ, უბედურ შემთხვევისაგანაო.

**ლორენცო-მარკეზი.** ლედი-სმიტთან მყოფ ბურების მთავარ-სადგურიდგან 7 თებერ. იუწყებიან, რომ გუშინ ბოშკოპთან, კოლენზოს მახლობლად, ბრძოლა მოხდაო. ბურებს რამდენიმე კაცი დაუჭრეს. ინგლისელების ზარალი დიდია. ჰფიქრობენ, რომ ლედი-სმიტის მეციხოვნენი დიდს გაჭირვებაში არიან.

### წერილი რედაქციის მიმართ

გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის გარდაცვალების ამბავმა ჩვენ, სოხუმის ქალთა პროგიმნაზიამდისაც მოაღწია და მწუხარება გვაგრძნობინა. განვიზრახეთ შეგვეგროვებინა თითოოროლა გროში ურთიერთ შორის მის მოსაგონებლად და დაგვედვა ეს მცირე თანხა მომავალ ქალთა სასწავლებლის კასსაში იმ იმედით, რომ ჩვენის ქვეყნის მოსწავლე დანიც ამ მცირეოდენ ფულს დასძენენ თავიანთ წვლილს და ამ გვარად შეგროვილის ფულის სარგებლით განსვენებულის გიორგის სახელზედ ერთი ვინმე ჩვენი მამულისშვილი—ღარიბი ქალი გამოიზრდებოდა. ამიტომ გთხოვთ ჩვენგნით წარმოგზავნილი შვიდი მან. 50 კ. გარდასცეთ კნ. მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურ-ორბელიანისას, ხოლო ეს წერილი დაჰბეჭდოთ თქვენს გაზეთში საცნობელად სხვათა.

სოხუმის ქალთა პროგიმნაზიის ქართველი მოსწავლენი

—

ბაღდადის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემოსწირეს: რახილ აბაშიძისამ სამი მანეთი, სოფიო კახიანმა, მარიამ გრიგორიასამ, ლიზა ჩარკვიანმა, ფოკა ჩხეიძემ და ირაკლი ტყეშელაშვილმა თითო მანეთი; ალექსანდრა ყორყოლიანმა და ალექსანდრა ახვლედიანმა ექვს-ექვსი შაური; ოლღა გალაშევსკისამ ერთი აბაზი, მარია ხაბურზანიასამ 28 სხვა-და-სხვა რუსული წიგნი, ღირებული 14 მან., და ალექსანდრე იოსების ძე ფეიქაროვმა—აკაკის სურათი, ჩარჩოში ჩასმული, ღირებული 6 მან. ყველა ეს შეწირულება შეკრებილ იქმნა ს. როკითში ქ-ნ სოფიო კახიანის და გიორგი ახვლედიანის თაოსნობით და გადმოეცა სამკითხველოს გიორგი ახვლედიანის ხელით. უღრმეს გულითად მადლობას ვუძღვნი შემომწირველთ. აგრეთვე გულითად მადლობას ვუძღვნი ამ საქმის მოთავეებს—სოფიო კახიანს და გიორგი ახვლედიანს.

წევრი ბაღდადის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი მასწავლებელი ივანე მემარნიშვილი

—

ჩემდამო რწმუნებული მიქელ-გაბრიელის ორ-კლასიანი სასწავლებელი, აგერ რამდენიმე წელიწადია იღებს უფასოდ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილს“. ეხლა, როგორც შევიტყე, ეს ჟურნალი დაკვეთილი ჰქონია სკოლისათვის ბ-ნ თეოფილე ბოლქვაძეს, რომელსაც უგულითადეს მადლობას ვწირავ როგორც ჩემის მხრივ, ისე სასწავლებლის მოსწავლეთაგან.

მიქელ-გაბრიელის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველი მოსე მეგრელიძე

### სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველ დეპარტამენტში

12 თებერვალი

გიორგი ზაქარიასი, რომელსაც ქურდობა ედება ბრალად.

სონა ეუბ-ყიზისა, რომელსაც თავისის ქმრის მოკვლა ჰბრალდება.

გიგო ფილიშვილისა, რომელსაც კაცის კვლა ჰბრალდება.

ერასტო და ბასა ქორდავაებისა, რომელთაც კაცის კვლა ჰბრალდებათ.

სერაფიონ თალაკვაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-270 მუხ. აღნიშნული დანაშაულის ბრალი ედება.

15 თებერვალი.

მღვდლის გიორგი ამბრიაშვილისა, ივანე კოკაშვილისა და იაკობ ქიტიაშვილისა, რომელთაც სასჯ. დებულების მე-115, 1668 და 121 მუხ. აღნიშნულ დანაშაულის ბრალი ედებათ.

სევასტი, გიორგი და სხ. გოგოლაშვილებისა, რომელთაც გაძარცვის ბრალი ედებათ.

26 თებერვალი

ილიკო წერეთლისა, რომელსაც სასჯ. დებულების მე-1656 მუხ. აღნიშნულ დანაშაულის ბრალი ედება.

მიხეილ ლაშხისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება.

ოსია ზაქარეიშვილისა, რომელსაც ნებადაურთველად არაყის გამოხდის ბრალი ედება.

ერმოლაოზ მეგრელიშვილისა, რომელსაც სასჯ. დებულების მე-1643 მუხ. 1 ნაწ. აღნიშნულ დანაშაულის ბრალი ედება.

ფიდო გაბელიასი, რომელსაც სასჯ. დებულების მე-1484 მუხ. 2 ნაწ. აღნიშნულ დანაშაულის ჩადენის ბრალი ედება.

მღვდლის გიორგი აბრიაშვილისა, იაკობ ქიტიაშვილისა, წყალობ ფიდგაურისა და ივანე კოკაშვილისა, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-115,1668 და 131 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში

12 თებერვალი

იმ დავის საქმენი, რომელიც აღიძრა სენაკის მაზრის აგარაკ „სახარბედიო“-ს გამიჯვნის დროს.

26 თებერვალი

დავანი, აღძრულნი შორაპნის მაზრის აგარაკ დიდ-ველი—თერჯოლას და ახალციხის მაზრის ლეპისის საზოგადოების აგარაკის გამიჯვნის დროს.


## განცხადებანი

ქ. ბათუმში დაარსებული
**ძმ. ჩილინგირიანის**
# კანტორა
უცხადებს კავკასიის საზოგადოებას,
რომ **ჰყიდის**
# აბრეშუმის თესლს
ბაღდადის ტეორსა და საფრანგეთის ყვითელს პირველ ხარისხის პარკისას, თესლები ბანდეროლიანია, დაბეჭდილი და შემოწმებული საბრეშუმო სადგურის მიერ. (7—32—4)

# ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 15 ამა თებერვალს, დილის 12 საათზედ, დანიშნულია საჯაროთ ვაჭრობა **ქალაქის საქასბოს გასაახლებელ-შესაკეთებლად** 3385 მან. ღირებულ სამუშევრის იჯარით გასაცემად. ვაჭრობის მსურველთ ყოველი ამ საქმის შესახები პირობები შეუძლიანთ განიხილონ ქალაქის გამგეობის სააღმაშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმის გარდა. (4—6.—2)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არ ჩენს მზისაგან ლამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია:** დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—75)

# ისყიდება შემთხვევით

**საწვრიმალო დუქანი** თავისი გამართულობით. მსურველს შეუძლიან მოლაპარაკება თვით დუქნის პატრონთან. ალექსანდროვის ქუჩა, № 30. აქვე ისყიდება 2 განიერი „სტოიკა“ 8 უჯრით, რომელიც გამოდგება „რესტორანებში“ სახმარებლადაც. (2—38—2)

# იმლევა იჯარით

## სალხინო სასეირნო ბაღი

ახალ წყლის-პირის ქუჩის და ვეტცელის ქუჩის კუთხეში, ტფილისის კრუჟოკის საზაფხულო სადგომის პირდაპირ, პოლიციის მე-10 ნაწილში.

საიჯარო პირობათა შეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში ბ-ნ ტერ-ასატუროვთან. (5—39—2)

# ფოთის საქალაქო ბაღს

დამზადებული აქვს გასასყიდათ 1900 წ. გაზაფხულზე სხვა-და-სხვა დეკორატიული მცენარეულობა 15,000 ძირზედ მეტი.

| | | |
|---|---|---|
| 1. | maritima | 3 წლისა 1000 ძირი 150 მ., 100 ძირი 25 მ., 1 ძირი 30 კ. |
| 2. | Picea excelsa | 3 და 5 წლისა 1000 ძირი 200—400 მან., 100 ძირი 30—50 მ., 1 ძირი 30—75 კაპ. |
| 3. | Magnolia grandiflora | სიმაღლით 8 ვერშ. 2 არშ. 100 ძირი 20—75 მ., 1 ძირი 30 კ.—1 მანეთამდე. |
| 4. | Laurus nobilis | 5 წლის 1 ძირი 75 კაპ. 3 მანეთამდე, 100 ძირი 20 მ., 1 ძირი 30 კაპ. |
| 5. | Malia Azedarach | სიმაღლით 3 არშინამდე 100 ძირი 25 მ, 1 ძირი 30 კ. |
| 6. | Maclura aurantiaca | 2 წლისა 100 ძირი 15 მან., 1 ძირი 20 კაპ. |
| 7. | Deutzia gracilis | „ 100 ძირი 15 მან. |
| 8. | Aspidistra elatior | „ 100 ძირი 25 მან. |
| 9. | Bambusa aurea | „ 100 ძირი 50 მან., 1 ძირი 75 კაპ. |
| 10. | „ fotunei fol varg. | 100 ძირი 40 მან., 1 ძირი 50 კაპ. |
| 11. | „ gracilis „ 1 ძირი | . . . 1 მან. |
| 12 | „ Metake „ 1 ძირი | . . . 1 მან. |
| 13. | „ nigra „ 1 ძირი | . . . 1 მან. |
| 14. | Jueca gloriosa | 3 წლისა 100 ძირი 30—50 მან., 1 ძირი 25—75 კაპ. |
| 15. | Polyanther tiberosa | მრჩობლ ფურცლოვანი 1000 ძირი 40 მან., 100 ძირი 5 მან., 1 ძირი 20 კაპ. |

(3—5.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 10 Февраля 1900 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე